თბილისელთა პირველი გამარჯვება

ტუნისი. 1 თებერვალი. სსრ. კავშირის ჩემპიონებმა - თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებმა პირველი საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს ტუნისში, სადაც მათი მეტოქე იყო ამ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები. დინამოელებმა მასპინძლები დაამარცხეს ანგარიშით 2:0. პირველი ბურთი გაიტანა შენგელიამ (31-ე წუთი), ხოლო მეორე - გ. მაჩაიძემ (50-ე წუთი). დინამოელებს მატჩის მსვლელობაში სრული ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ.

ეს შეხვედრა თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: გაბელია, კოსტავა (ხიზანიშვილი, 69 წუთი), კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ჩელებაძე (მუჯირი, 71), შენგელია.

"ლელო", 5 თებერვალი, 1979 წ.